ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
შპს თბილსერვის ჯგუფი
TBILISI MUNICIPALITY CITY HALL
TBILSERVICE GROUP LTD

წერილის ნომერი: **62-0124338488**
თარიღი: **03/12/2024**

ადრესატი: ავთო ჟორჟოლიანი
პირადი ნომერი: 01001071717
მისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი, მორის ფოცხიშვილის ქუჩა, N 10ა

ბატონო ავთო,
შპს ,,თბილსერვის ჯგუფში" 2024 წლის 28 ნოემბერს შემოსული თქვენი #19/01243333387-62 განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ ჩვენი კომპანიის, სანიაღვრე და სადრენაჟე ქსელების ექსპლუატაციის დეპარტამენტის წარმომადგენლების მიერ განხილული იქნა თქვენს მიერ წარმოდგენილი კორექტირებული გენ. გეგმა (ობიექტი - აღმაშენებლის ხეივანი, ნაკვეთი 01.72.14.011.672).
სანიაღვრე დეპარტამენტი წინააღმდეგი არ არის აწარმოოთ სამუშაოები ჩვენს მიერ შეთანხმებული კორექტირებული გენ. გეგმის შესაბამისად.

ზაზა ბერიშვილი


შპს "თბილსერვის ჯგუფი"-სანიაღვრე და სადრენაჟე ქსელების ექსპლოატაციის დეპარტამენტი-დეპარტამენტის უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

გენ-გეგმა

ნაკვეთის. ს/კ 01.72.14.011.672
ნაკვეთის ფართობი - 1097 კვ მ
შენობის სართულიანობა 5 სართული

მასშტაბი 1:500



მთავარი არქიტექტორი, ავტორი:
ARCHITECT, AUTHOR:

ალექსი სოლომნიშვილი

პროექტის დასახელება /PROJECT NAME:
სავაჭრო ობიექტი და ოფისი

მისამართი/ ADDRESS:
ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, N189

დამკვეთი,მესაკუთრე/CLIENT, OWNER:
შ.პ.ს "სანდო"

ჰორიზონტი აღნიშვნები /LEGEND:

- საკადასტრო საზღვარი
- სავაჭრო ობიექტი და ოფისი
- გაფხვანება

საქართველო ქ. თბილისის მერია
მას "თბილისპროექტი მთავარი"
შემოწმებულია პროექტი
საქართველოს წარმოშობის მიწათ საკონტროლო
შემოწმებულია წარმოშობის
ს. 591 81 97 27 03 12 24

სტადია/STAGE

მასშტაბი/SCALE 1:500

ფურცლის ზომა/SHEET SIZE A1

თარიღი/DATE

ფურცლის სახელი /SHEET NAME
ბლოკი/BLOCK

გენ-გეგმა

ფურცლის N -
SHEET N

ავტორი: ალექსი სოლომნიშვილი
AUTHOR:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **16-01242974303**
თარიღი: **23/10/2024**

ადრესატი: ავთო ჟორჟოლიანი
პირადი ნომერი: 01001071717
მისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი, მორის ფოცხიშვილის ქუჩა, N 10ა

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ განიხილა თქვენი, 2024 წლის 21 ოქტომბრის N01242954842-67 განცხადება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 13/11/2023 წლის ბ01.012331720 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

პასუხად გაცნობებთ, რომ საპროექტო მიწის ნაკვეთზე, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებულ დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შესაბამისად, ვრცელდება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2) და დადგენილია მიწის ნაკვეთის განაშენიანების რეგულირების შემდეგი პარამეტრები:

მიწის ნაკვეთის განაშენიანების მაქსიმალური კოეფიციენტი კ-1= 0,5* / 0,7

მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტი კ-2= 4.6

მიწის ნაკვეთის გამწვანების მინიმალური კოეფიციენტი კ-3 =0.2/0.3*

მიწის ნაკვეთის მინიმალური ფართობი - 700 კვ.მ

მიწის ნაკვეთის მინიმალური სიგანე - 20 მ

მიწის ნაკვეთის მინიმალური სიღრმე - 30 მ

მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლისთვის ან მრავალბინიანი საცხოვრებელი ფუნქციის შემცველი მრავალფუნქციური შენობა-ნაგებობისთვის, სადაც საცხოვრებლი ფუნქცია აღემატება 25 %-ს.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 13/11/2023 წლის ბ01.012331720 ბრძანების ფარგლებში, საპროექტო ტერიტორია შეადგენდა 900 კვ.მეტრს და ვერ აკმაყოფილებდა მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ მინიმალურ მოთხოვნებს, კერძოდ, მინიმალური სიღრმის დადგენილ პარამეტრს.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 16/10/2024 წლის 16-01242851423 წერილით, სააგენტომ გასცა დადებითი რეკომენდაცია მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდი: №01.72.14.011.447; №01.72.14.011.451) გაერთიანებასთან დაკავშირებით. აღნიშნულის გათვალისწინებით, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში საპროექტო ტერიტორია დარეგისტრირდა N01.72.14.011.672 საკადასტრო კოდით და მიწის ნაკვეთი დღეის მდგომარეობით აკმაყოფილებს ტერიტორიაზე მოქმედი ფუნქციური ზონის (სსზ2) განაშენიანების რეგულირების პარამეტრებს.

ვინაიდან, მიწის ნაკვეთზე არ იცვლება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 13/11/2023 წლის ბ01.012331720 ბრძანებით გათვალისწინებული ობიექტის ფუნქცია (მრავალფუნქციური შენობა (სავაჭრო/საოფისე)) და განახლებული საკადასტრო მონაცემებით მიწის ნაკვეთი აკმაყოფილებს

ტერიტორიაზე მოქმედი ფუნქციური ზონის (სსზ2) განაშენიანების რეგულირების პარამეტრებს, საკითხი არ საჭიროებს სპეციალურ (ზონალურ) შეთანხმებაში ცვლილების შეტანას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტომ მიიღო გადაწყვეტილება, თქვენი 2024 წლის 21 ოქტომბრის N01242954842-67 განცხადების განუხილველად დატოვების თაობაზე.

განუხილველად დატოვების შესახებ გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მისამართი: ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ვიქტორ წილოსანი

სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

საქართველოს შინაგან საქმეთა
სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო
დაწესებულება – საგანგებო
სიტუაციების მართვის სამსახური

MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF
GEORGIA SUBORDINATED STATE
ENTITY – EMERGENCY
MANAGEMENT SERVICE

23/10/2024

MIA 8 24 03237778

სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის-
III-IV კლასის შენობა-ნაგებობების სანებართვო განყოფილება
პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს
(განყოფილების უფროსი) ქალბატონ **თამარ ჩინჩალაძეს**

ქალბატონო თამარ,

თქვენი 2024 წლის 21 ოქტომბრის N 60-01242953820 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ ქალაქ თბილისი, დიღმის სასწავლო საცდელი მეურნეობაში და დავით აღმაშენებლის ხეივანი N189-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 01.72.14.011.447; 01.72.14.011.451) მრავალფუნქციური კომპლექსის შენობის ასაშენებლად მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენის შესახებ წარმოდგენილი საპროექტო დოკუმენტაცია, რომელშიც საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის 2024 წლის 8 ოქტომბრის N MIA32403085934 წერილის საფუძველზე შეტანილი იქნა ცვლილება-დამატებები, შეესაბამება სამშენებლო ნორმების და წესების, ტექნიკური რეგულირების სხვა დოკუმენტებით დადგენილი სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებს.

პატივისცემით,

სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო
სიტუაციების მართვის სამსახური /
ზედამხედველობის დეპარტამენტი
დეპარტამენტის უფროსი
კუჭაშვილი დავითი

საქართველო, 0114, თბილისი, ვ. გორგასლის ქ. №83ა
ტელ: (+995 032) 2 41 44 79
ელ. ფოსტა: info@es.gov.ge

№83a, V. Gorgasali str. Tbilisi, 0114, Georgia
Tel: (+995 032 2 41 44 79
E-mail: info@es.gov.ge

სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

01 ნოე 2024

გადაწყვეტილება # 892024655864-03 (01.11.2024)

რეგისტრაციის შესახებ

განცხადების ნომერი: **892024655864** განცხადების მიღების თარიღი: **28.10.2024 14:24**

დაინტერესებული პირი: **შპს სანდო (211359858)**

წარმომადგენელი: **ავთო ჟორჟოლიანი (01001071717)**

უძრავი ნივთის მისამართი/საკადასტრო კოდი: **ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, N 189, 01.72.14.011.672**

მომსახურების სახე: **საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული ვალდებულების შეწყვეტის რეგისტრაცია უძრავ ნივთზე**

დ ა ს კ ვ ნ ა

„საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად მიღებული იქნა გადაწყვეტილება მოთხოვნის დაკმაყოფილების თაობაზე.

წინამდებარე გადაწყვეტილება ძალაში შედის საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე. გადაწყვეტილება გამოქვეყნებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლო წესით.

სნ 202052580

საქართველო, თბილისი 0119, ვანის ქ. 3
ელ. ფოსტა: telasi@telasi.ge
ტელ: +995 (32) 277 99 99
www.telasi.ge

N: 1031/150/24


31/10/2024

მოქ. ავთო ჟორჟოლიანს

22.10.2024 #1022/311/24 განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ წარმოდგენილი პროექტი (გენ.გეგმა ს.კ.01.72.14.011.672) დღევანდელი მდგომარეობით შეესაბამება ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობების დაცვის წესებსა და ზონებს (საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის #366 დადგენილება, დანართი ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობების დაცვის წესი და მათი დაცვის ზონები).

სს „თელასის“ გენერალური
დირექტორი ს. კობცევი

შემს.შრომის დაცვისა და სახ. უსაფრთხოების
განყ. უფროსის მ.შ. გ. პატარქალიშვილი
ტელ. 2 77 99 99 1(7959)



მთავარი არქიტექტორი, ავტორი:
ARCHITECT, AUTHOR:

ალექსი სოლომნიშვილი

პროექტის დასახელება/PROJECT NAME:
სავაჭრო ობიექტი და ოფისი

მისამართი/ ADDRESS:
ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, N189

დამკვეთი,მესაკუთრე/CLIENT, OWNER:
შ.პ.ს "სანდო"

პირობითი აღნიშვნები/LEGEND:

- საკადასტრო საზღვარი
- სავაჭრო ობიექტი და ოფისი
- გამწვანება

სტადია/STAGE	
მასშტაბი/SCALE	1:500
ფურცლის ზომა/SHEET SIZE	A1
თარიღი/DATE	
ფურცლის სახელი /SHEET NAME	
ბლოკი/BLOCK	

გეგ-გეგმა

ფურცლის N SHEET N	-
ავტორი: AUTHOR:	ალექსი სოლომნიშვილი

წერილის ნომერი: **18-01242973527**
თარიღი: **23/10/2024**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას 7

ზოგადი ინფორმაცია	
წერილის ნომერი:	N 60-01242953823
წერილის თარიღი:	21 ოქტომბერი, 2024
განმცხადებელი:	ავთო ჟორჟოლიანი
განაცხადის N	AR11060401
მისამართი	ქ. თბილისი, დიღმის სასწავლო საცდელი მეურნეობა/ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, #189
საკადასტრო კოდ(ებ)ი:	01.72.14.011.447; 01.72.14.011.451
ფუნქციური დანიშნულება; კლასი:	მრავალფუნქციური კომპლექსი; ; IV კლასი
ნომენკლატურა/მოთხოვნის შინაარსი:	მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
მიწის ნაკვეთის მესაკუთრე(ები)	შპს ,,სანდო“
არსებული ფუნქციური ზონა(ები):	საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2)
არსებული შეზღუდვები	--------
წარმოდგენილი დოკუმენტაცია	ფოტოსურათები საექსპერტო დასკვნა გენგეგმა
დასკვნა: ინფორმაციული-დადებითი	

საკითხის აღწერა

მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენის ეტაპზე სამსახურის პოზიციის დაფიქსირება

სამართლებრივი დასაბუთება

სამსახურმა იხელმძღვანელა შემდეგი სამართლებრივი საფუძვლებით: საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის ,,გ“ ქვეპუნქტი; საქართველოს კანონის ,,საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის“ 109-ე მუხლის მე-2 ნაწილი; საქართველოს კანონის „ქ. თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის განსაკუთრებული დაცვის შესახებ“ მე-6 და მე-7 მუხლები; საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის დადგენილებით №255 დამტკიცებული „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-

ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ (შემდგომში მოხსენებული, როგორც ,,დადგენილება“) მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტი, დადგენილების მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ბ.ზ“ ქვეპუნქტი; დადგენილების მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „ი“, „კ“ ქვეპუნქტები; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის დადგენილებით №10-11 დამტკიცებული ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის დებულების“ მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 11 ივნისის დადგენილებით N11-58 დამტკიცებული ,,ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ (შემდგომში - ,,N11-58 დადგენილება“) დანართი N1, მე-3, მე-4, მე-5, 29-ე, 30-ე მუხლები; ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის N05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სია.

სამსახურის პოზიცია

გაცნობებთ, რომ სამსახურმა 10/10/2024 #18-01242843936 წერილით ერთხელ უკვე დააფიქსირა დადებითი პოზიცია მწვანე ნარგავებთან დაკავშირებით

დანართი 3 (სამი) ფურცელი.

პატივისცემით,

პაატა ტოგონიძე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - საქალაქო სამსახურის უფროსი

წერილის ნომერი: **18-01242843936**
თარიღი: **10/10/2024**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას 7

ზოგადი ინფორმაცია	
წერილის ნომერი:	N 60-01242814616
წერილის თარიღი:	07 ოქტომბერი, 2024
განმცხადებელი:	ავთო ჟორჟოლიანი
განაცხადის N	AR11060401
მისამართი	ქ. თბილისი, დიღმის სასწავლო საცდელი მეურნეობა/ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, #189
საკადასტრო კოდ(ებ)ი:	01.72.14.011.447; 01.72.14.011.451
ფუნქციური დანიშნულება; კლასი:	მრავალფუნქციური კომპლექსი; IV კლასი
ნომენკლატურა/მოთხოვნის შინაარსი:	მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
მიწის ნაკვეთის მესაკუთრე(ები)	შპს ,,სანდო“
არსებული ფუნქციური ზონა(ები):	საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2)
არსებული შეზღუდვები	--------
წარმოდგენილი დოკუმენტაცია	ფოტოსურათები საექსპერტო დასკვნა გენგეგმა
დასკვნა: დადებითი	

საკითხის აღწერა

მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენის ეტაპზე სამსახურის პოზიციის დაფიქსირება

სამართლებრივი დასაბუთება

სამსახურმა იხელმძღვანელა შემდეგი სამართლებრივი საფუძვლებით: საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის ,,გ“ ქვეპუნქტი; საქართველოს კანონის ,,საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის“ 109-ე მუხლის მე-2 ნაწილი; საქართველოს კანონის „ქ. თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო

ტყის განსაკუთრებული დაცვის შესახებ“ მე-6 და მე-7 მუხლები; საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის დადგენილებით №255 დამტკიცებული „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ (შემდგომში მოხსენებული, როგორც ,,დადგენილება“) მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტი, დადგენილების მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ბ.ზ“ ქვეპუნქტი; დადგენილების მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „ი“, „კ“ ქვეპუნქტები; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის დადგენილებით №10-11 დამტკიცებული ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის დებულების“ მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 11 ივნისის დადგენილებით N11-58 დამტკიცებული ,,ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ (შემდგომში - ,,N11-58 დადგენილება“) დანართი N1, მე-3, 29-ე, 30-ე მუხლები; ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის N05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სია.

სამსახურის პოზიცია

ვინაიდან, წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნით და ფოტომასალით არ დასტურდება ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების არსებობა, ***სამსახური გასცემს დადებით რეკომენდაციას მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცების შესახებ.***

პროექტის შეთანხმების ეტაპზე გასათვალისწინებელი წინაპირობები

დადგენილების მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის საფუძველზე, II, III და IV კლასის შენობა-ნაგებობის არქიტექტურული პროექტის შეთანხმების ეტაპზე, სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს უნდა წარედგინოს ტერიტორიაზე კ-3 კოეფიციენტის ათვისების გამწვანების პროექტი, რომელიც სხვა მონაცემებთან ერთად აუცილებლად უნდა მოიცავდეს ამ დადგენილების მე-19 მუხლის მე-5 პუნქტის „ა“, „გ“, „დ“, „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ ინფორმაციას, აგრეთვე „ზ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ, ფოტომონტაჟის სახით ვიზუალურად გამოსახულ გამწვანების პროექტს **(გარდა ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების, ასევე იმ შენობა/ნაგებობების არქიტექტურული პროექტებისა, რომელთა შეთანხმება მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის იმ ფუნქციურ ზონაში, რომელშიც კ-3 კოეფიციენტი არ არის განსაზღვრული ან ხდება შენობა/ნაგებობის რეკონსტრუქცია)**.

გარდა ზემო აღნიშნულისა, გამწვანების პროექტში განმცხადებელმა უნდა გაითვალისწინოს შემდეგი გარემოებები: შერეული, მაღალპროდუქტიული კორომების ჩამოყალიბება ქალაქის ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების სავალდებულო წინაპირობაა; სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია პროექტის შეთანხმების ეტაპზე, გამწვანების პროექტის ფარგლებში, ერთი სახეობის მწვანე ნარგავების ნაცვლად, ტერიტორია გამწვანდეს შერეული ტიპის, როგორც წიწვოვანი ისე ფოთლოვანი ნარგავებით.

სამსახური უპირატესობას ანიჭებს მაღალპროდუქტიული კორომების შექმნისა და ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, დიდი ვარჯის მქონე ხეების დარგვას ბუჩქებთან და ყვავილებთან მიმართებით **(გარდა ვერხვისა და ხილ-კენკროვანი მცენარეებისა).**

ვერხვის სახეობები ტენის მოყვარული მალე მზარდი ხეებია, მათ გააჩნიათ საკმაოდ ძლიერი ფესვთა სისტემა, რომელიც ვითარდება წყლის მიმართულებით. შესაბამისად, ურბანულ სივრცეებში, შენობა-ნაგებობების, წყალ-გაყვანილობისა და კანალიზაციის მილების დაზიანების გამომწვევი მიზეზი ხშირად ხდება. ასევე, მათი დაბალი ამორტიზაციის ასაკის გამო ვერხვის მტვრევადი ტოტები და ნაქცევის საშიშროება საფრთხეს უქმნის მოსახლეობასა და კერძო საკუთრებას. აგრეთვე, ყვავილობის პერიოდში ვერხვის ბუსუსოვანი თესლი ჰაერში აქტიურად იფანტება და სერიოზულ საფრთხეს უქმნის ალერგიის მქონე ადამიანებს; ასევე, ვინაიდან ვერხვი თავისი ჰაბიტატითა და სასიცოცხლო ფუნქციით ტენიანი ტერიტორიების ბინადარია და მისი აგრო-დეკორატიული დანიშნულება ქარსაცავი ზოლის შექმნაა, ის უნდა დაირგოს დასახლებიდან მოშორებით. შესაბამისად, **შესაძლო ზიანის პრევენციისათვის, მიზანშეწონილი არ არის ალვის ხის დარგვა ინტენსიურად დასახლებულ უბნებში.**

აქვე დავძენთ, რომ განმცხადებელმა გამწვანების პროექტში უნდა გაითვალისწინოს არსებული და გადასარგავი ნარგავები, ასევე, გასაშენებელი (დასარგავი) დიდი ზომის ვარჯის მქონე წიწვოვანი ან/და ფოთლოვანი ხეები.

დასარგავი მცენარის რაოდენობა უნდა განისაზღვროს შემდეგი პროპორციით-10-12 კვ. მეტრი 1 ძირი მცირე ზომის ვარჯის მქონე ხისთვის, ხოლო 20-25 კვ. მეტრი დანარჩენი წიწვოვანი და ფოთლოვანი ხეებისთვის.

ტერიტორიაზე გასაშენებელ მწვანე ნარგავებს უნდა ჰქონდეს შემდეგი მახასიათებლები:

ხის ნერგი გამოზრდილი უნდა იყოს სანერგეში, სწორი ფორმის მქონე მთავარი ღეროთი. მარადმწვანე ხეები (როგორც წიწვოვანი ასევე, ფოთლოვანი) დაფესვიანებული შესაბამისი ზომის კონტეინერში არანაკლებ 65 ლიტრი (CLT).

წიწვოვანი ნარგავების დარგვის შემთხვევაში (გარდა იტალიური ფიჭვისა, მასზე ვრცელდება ფოთლოვანი ხეების პარამეტრები), ნერგის სიმაღლე არანაკლებ 3 მ.; მთავარი ღერო უნდა იყოს სწორი ფორმის; ღეროს გარშემოწერილობა CIRC არანაკლებ 0,16 მ., ფესვის ყელიდან 0,1 მ. სიმაღლეზე; ვარჯის დიამეტრი არანაკლებ 0,7 მ.; ვარჯი უნდა იყოს ყველა მხრიდან სიმეტრიულად განვითარებული; ქოთანში დაფესვიანებული; მისი განტოტვა უნდა იწყებოდეს ფესვის ყელიდან არაუმეტეს 0,25 მ. სიმაღლეზე.

ფოთლოვანი ნარგავების დარგვის შემთხვევაში, ნერგის სიმაღლე 3.5 მ.; მთავარი ღერო უნდა იყოს სწორი ფორმის; ღეროს გარშემოწერილობა CIRC არანაკლებ 0,18 მ. ფესვის ყელიდან 1 მ. სიმაღლეზე; ვარჯის დიამეტრი არანაკლებ 0,7 მ.; მისი განტოტვა უნდა იწყებოდეს მცენარის ფესვის ყელიდან არანაკლებ 1,8 მ. სიმაღლეზე; ვარჯი უნდა იყოს ყველა მხრიდან სიმეტრიულად განვითარებული.

დასარგავი მცენარის სახეობა უნდა შეირჩეს პრიორიტეტული ხეების სიიდან.

აქვე გაცნობებთ, იმ შემთხვევაში თუ საპროექტო ტერიტორიაზე ან მის მიმდებარედ ფიქსირდება ხაზობრივი ნაგებობები, ასევე, თუ საპროექტო წინადადება ითვალისწინებს მათ გაყვანას, საჭიროა თითოეული საინჟინრო კომუნიკაცია დატანილი იქნას გამწვანების დეტალურ პროექტზე და გეგმარების პროცესში გათვალისწინებული იქნას დადგენილი შეზღუდვის არეალები, რომლის დაცვითაც მოეწყობა შემდგომში გასამწვანებელი სივრცეები და დაირგვება მწვანე ნარგავები.

პატივისცემით,

პაატა ტოგონიძე

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - საქალაქო სამსახურის უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი